ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 15706-25
27/08/2015

ა(ა)იპ - სარაგბო კლუბი ბათუმი" - ს
დირექტორს ბატონ მ. ჩანტლაძეს

ბატონო მამუკა,

თქვენი 2015 წლის 24 აგვისტოს №დ05-25 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 5780 (ხუთი ათას შვიდასოთხმოცი) ლარის ფარგლებში განახორციელოთ გუნდისთვის სათამაშო ფორმების შესყიდვა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მომსახურების შესყიდვის მიზნით, ხელშეკრულების დადება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს (SPA150022401; SPA150022848) ტენდერით გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

პატივისცემით,

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

ხელშეკრულება №59
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი "7" სექტემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ **შპს სარაგბო კლუბ "ბათუმი"-ს** წარმოდგენილი დირექტორის მამუკა ჩანტლაძის სახით (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25; გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი: 445393495, ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბანკის კოდი UGEBGE22; საბანკო ანგარიში №GE07VT5500000000133408, (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს **„ქართული რაგბი"-ს** წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ხუციშვილის სახით (მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 205254455, საბანკო ანგარიში GE06BS0000000021036057, სს გაზის ბანკი, ბანკის კოდი GEBSGE22; (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
1.3 „დღე" „კვირა" „თვე" კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებისსაგანი.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა შ.პ.ს. სარაგბო კლუბ „ბათუმი"-ს მიაწოდოს უმაღლესი გუნდის სათამაშო ფორმები. (CPV18400000) (შემდგომში "მომსახურება"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით (**დანართი №1) შესაბამისად რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს).**
1.2 მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.5 პუნქტის შესაბამისად.
1.3 წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **5040** (ხუთიათასორმოცი) ლარს.

2.2 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ იწარმოება წინასწარი ანგარიშსწორებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების შესაბამისად.

2.3 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1 ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხრიდან კონტროლს, მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ასევე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასა და აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შ.პ.ს. სარაგბო კლუბ „ბათუმი"-ს მენეჯერი მამუკა სალუქვაძე.

3.2. მიმწოდებლის მხრიდან: დირექტორი ირაკლი ხუციშვილი.

3.3 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2 თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

GEORGIA "RUGBY CLUB BATUMI" LTD 445393495

GEORGIA "ბათუმის რაგბის" LTD 205264455

4.4 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

4.5. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 25 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.6 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვის შესახე" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.

ბ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურებით დასრულებისთანავე.

5.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

5.4 მიმწოდებელი ვალდებული:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების, შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და არა ჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ჯამური თანხა ხელშეკრულების ფასის 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ბ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

(ხელმოწერა)

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწვეტა

7.1 ხელშეკრულების დადებამდე არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5 მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

7.6 თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლება მოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.7 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.8 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.9 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ.

8. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 7 სექტემბრიდან 2015 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით.

8.2 მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 7 სექტემბრიდან 2015 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

8.3 მომსახურების გაწევის ადგილი - თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.)

ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

9.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი ურთიერთობა და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმაროს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. შეტყობინება

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბმისად, უგზავნის მეორე მხარეს გაიგზავნება წერილის, დეპეშის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღიდან ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. სხვა პირობები

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველს წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.2 ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

12.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და იწახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან).

13 სხვა პირობები

13.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველს წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.2 ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან).

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს სარაგბო კლუბი "ბათუმი"	**შპს „ქართული რაგბი"**
მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25	მის: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა,
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“	სს ბაზის ბანკი, ბ/კ: GEBSGE22
ბ /კ : UGEBGE22, ს/კ: 445393495	ს/ ნ 205254455,
ა /№ GE07VT5500000000133408	ა/№GE06BS0000000021036057,
დირექტორი: მამუკა ჩანტლაძე	დირექტორი: ირაკლი ხუციშვილი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
ბ. ა.	ბ. ა.

დ ა ნ ა რ თ ი №1

მომსახურების რაოდენობისა და ღირებულების
ხარჯთაღრიცხვა

№	საქონლის დასახელება	საქონლის აღწერილობა	განზომილება	რაოდენობა	ჯამი
1	სათამაშო მაისური ცისფერი თეთრი ზოლით,	მაისური უნდა იყოს ცისფერი თეთრი ირიბი ზოლით (ნიმუში- სურათი №1) pikes მსგავსი ორმაგიქსოვის 100 % პოლიეესტერი, არანაკლებ 1 მ2-215 გრ, სუბლიმაციური ტექნოლოგიით დამუშავებული, ჰაერგამტარი, ყელზე მიმდგარი თეთრი საყელოთი, მკერდზე ირიბი ხილიკონით (ბურთის დამჭერი) ასევე აუცილებლად უნდა იყოს შეკერილი 5 ძაფიანი ჯაჭვური ნაკერით, ადვილად არ უნდა ირღვეოდეს. ზურგზე ნომრით, მარცხენა მკერდზე გუნდის ლოგოთი ზომა 8X7სმ, მარჯვენა მხარზე ქ. ბათუმის მერიის ლოგოთი ზომა 7X7სმ, (სურათი №2)	ცალი	30	1110
2	სათამაშო შორტი თეთრი	სათამაშო თეთრი შორტი, მატერია-100 % პოლიესტერი, pikes მსგავსი ორმაგიქსოვის პოლიესტერის ქსოვილი, არანაკლებ 1 მ2-215 გრ სუბლიმაციური ტექნოლოგიით დამუშავებული, ასევე აუცილებლად უნდა იყოს შეკერილი 5 ძაფიანი ჯაჭვური ნაკერით, წელზე მანეკენის ქვემოთ წარწერით RC „BATUMI", წარწერის ზომა 7X7სმ.	ცალი	30	750
3	სათამაშო გეტრი (გამაში) თეთრი	გეტრი (გამაში) თეთრი ცისფერი ზოლებით ზებრას მსგავსი, კოჭს ზემოთ უნდა იყოს პოლიესტერის ძაფით ნაქსოვი, ქსოვილი უნდა იყოს არანაკლებ 1 მ2-250 გრ, კოჭს ქვემოთ ბამბის ძაფის ნაქსოვი ოფლის საწინააღმდეგო, მინმალური წონა 110 გრ. სხეულზე მომდგარი მჭიდროდ.	წყვილი	40	360

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

ბ. ა.

ბ. ა.

№	საქონლის დასახელება	საქონლის აღწერილობა	განზომილება	რაოდენობა	ჯამი
1	სათამაშო მაისური ლურჯი	მაისური უნდა იყოს ლურჯი წითელი მკლავით ლურჯი კანტით (წიმუში- სურათი №1) pikes მსგავსი ორმაგიქსოვის 100 % პოლიესტერი, არანაკლებ 1 მ 2-215 გრ, სუბლიმაციური ტექნოლოგიით დამუშავებული, პაერგამტარი, ყელზე მიმდგარი წითელი საყელოთი, მკერდზე ირიბი სილიკონით (ზურთის დამჭერი) ასევე აუცილებლად უნდა იყოს შეკერილი 5 ძაფიანი ჯაჭვური ნაკერით, ადვილად არ უნდა ირღვეოდეს. ზურგზე ნომრით, მარცხენა მკერდზე გუნდის ლოგოთი ზომა 8X7სმ, მარჯვენა მხარზე ქ. ბათუმის მერიის ლოგოთი ზომა 7X7სმ, (სურათი №2)	ცალი	30	1110
2	სათამაშო შორტი ლურჯი	სათამაშო შორტი უნდა იყოს ლურჯი pikes მსგავსი ორმაგიქსოვის 100 % პოლიესტერი, არანაკლებ 1 მ 2-215 გრ სუბლიმაციური ტექნოლოგიით დამუშავებული, ასევე აუცილებლად უნდა იყოს შეკერილი 5 ძაფიანი ჯაჭვური ნაკერით, წელზე მანჟეტის ქვემოთ წარწერით RC „BATUMI", წარწერის ზომა 7X7სმ.	ცალი	30	750
3	სათამაშო გეტრი (გამაში) ლურჯი	გეტრი (გამაში) ლურჯი, კოჭს ზემოთ უნდა იყოს პოლიესტერის ძაფით ნაქსოვი, ჭოვილი უნდა იყოს არანაკლებ 1 მ2-250 გრ, კოჭს ქვემოთ ბამბის ძაფის ნაქსოვი ოფლის საწინააღმდეგო, მინმალური წონა 110 გრ. სხეულზე მომდგარი მჭიდროდ.	წყვილი	40	360
4	სპორტული მოსაცმელი (ტილეტი)	ნახევრად სეტკისებური ორივე მხრიდან ჩასაცვამი, ფერი ლურჯი-წითელი,	ცალი	40	600

სულ ჯამი:	5040 (ხუთიათასორმოცი) ლარი